www.moxmarebeli.ge
მოხმარებელი.ge
საკითხს ამუშავებს

№3-325 02.05.2019

სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი 2019 წლის 11 აპრილის წერილზე (N3-317) პასუხისათვის, რომლითაც გვატყობინებთ, რომ ქ.თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ისთ ფოინთ"-ში მდებარე ჰიპერმარკეტ „კარფურში" სეს-მა აიღო „ვალიო"-ს 82% კარაქის ნიმუში და ლაბორატორიულად შეამოწმა შემდეგ მაჩვენებლებზე: სალმონელა და Listeria monocytogenes, რის შედეგადაც დარღვევა არ გამოვლინდა.

აღნიშნული დასახელების პროდუქტის ჩვენი დაკვეთით ჩატარებული ორგანოლეპტიკური ლაბორატორიული კვლევის შედეგად, გამოვლენილი იყო სიმძაღის სუნი და გემო, რაც, სავარაუდოდ, არასათანადო ტემპერატურულ რეჟიმში პროდუქტის შენახვასთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია რატომ არ შემოწმდა პროდუქტის შენახვის პირობები ჰიპერმარკეტ „კარფურში" და შენახვა-ტრანსპორტირების პირობები პროდუქტის სადისტრიბუციო კომპანიაში/ებში.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი